

«დროების» რედაქცია — სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაჭაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან. ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ ТИФЛИСѢ, въ редакцію «Дროбиа»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრუქტურა რედაქციაში განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზეზედ.

თუ საქართვებამთხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

წაღებ ნომერა «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

დღესასწაულების გამო შემდგომი ნომერი «დროებისა» გამოვა აღდგომა-ღვსს, 8 აპრილს.

ოთხშაბათს, 11 აპრილს, ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მმართველობისაგან იქნება გამართული თბილისის «კრუჟოკის» დარბაზში

გალი

ამ საზოგადოების სასარგებლოდ. ძალგებს შეუძლიანთ დაესწრონ გულ-შეკრული კაბებიტაც. გალი დაიწყება საღამოს 9 საათზედ. შასი ბილეთებისა 2 მან. ბილეთების ყიდვა შევერდოვის სააგენტოში და თვით «კრუჟოკი». (4—3)

არწრუნის თეატრი ხუთშაბათს, აპრილის 12-ს, მართული დრამატული დასის არტისტის მოხმებისაგან, იქნება გამართული

კონსერტი

მონაწილეობას მიიღებენ ქალბ. კნ. აელოვისა, მახუნი, საფაროვისა, მელიქოვისა და სხვ. თავ. აკაკი წერეთელი, თ. მ. თ., ბ. მ. აბაშიძე, მოხევე და სხვანი.

«დროების» ტელტონი, 5 აპრილი.

გოკლე ისტორია ივარიის გონა-სტრისა ათონის მთაზე.

მე VIII ს. უკუნიდგან დაწყებული ქართველებს ბევრი მონასტრები აუშენებიათ ათონის მთაზე; აქვე ჰქონიათ და აქვე კიდევ უდაბნოანი და სენაკნი ბერძნის ბერებსაც. სულ ერთიანად არის 20 მონასტერი. ამ მონასტერთ შორის მესამე ადგილი უჭირავს ქართველთ მონასტერს ყოველად წმიდის ლეთის-მშობლის მიძინებისას, რომელსაც ბერძნულად «პორტაიტი» ჰქვია. ის აუშენებია მე-X საუკუნეში იოანე ივერიელს, მამას მფთვიმე მთარგმნელისას.

ათონის მთაზე ამისთანა დიდი, მშვენიერი და მდიდარი მონასტერი სხვა ბევრი არა ყოფილა და არც ეხლა არის.

როგორც ღვიინახეთ შემდეგიდამ, 1801 წლამდე ქართველებს ეჭირათ ლეთის-მშობლის მიძინების ღაერა, რადგან ის იყო მათი საკუთრება. იმათ მფლობელობაში იყო აგრეთვე ტაძარი «პარაკლისი», რომელშიაც ესვენა ლეთის-მშობლის ხატი. უკანასკნელი ტაძარი ქართველი ბერების ხელში იყო 1834 წელსაც და წინამძღვრად იდგა ქართველი ბერი—ბენედიქტე.

სხვათა შორის თავ. აკაკი წაიკითხავს «თონიკე მრისთავს».

სოცხალი სურათები

ჩვენის ისტორიულის ცხოვრებიდგან. საღამო დაბოლოვდება ლეაჟრით. დასაწყისი 8 საათზედ.

შინაური ძრონისა

ოთხშაბათს, საათის 3-ზე ნაშუადღევს, თავადი ივანე ძონსტანტინეს-ძე მუხრან-ბატონი თბილისის ოლქის სამსჯავროს კარიდარში დასკრა თავადმა მლადიმერ სუჟმათა-შვილმა სამ ადგილას ლეეოლვერითა. მრთი ტყვია კისრიდამ უკვე ამოუღეს და ორი ზურგიდამ. ექიმები საშიშს არასა ხედვენ. თ. სუჟმათა-შვილს სრულიად მოულოდნელად დაუწყვია რეეოლვერის სროლა; მუხრან-ბატონი მიბრუნებია და სილის შემოკრით წაუქცევია. თ. სუჟმათა-შვილი დაქერილია. ამბობენ ამ ამბის მიზეზი მამულზედ დავა არისო.

ამ დღეებში ავაზაკებმა მოჰკლეს რკინის გზის ქანდარში მობულეთის სტანციის ახლო და გაცარ-

ნებისას, ქართველთა და ბერძენთ ბერების ბრძოლისას, რომ შეეიტყოთ, ვის ეკუთვნის «ივერიის მონასტერი» ათონის მთაზე. ამ აზრის აღსასრულებლად ჩვენ ესარგებლობთ რუსის ეპისკოპოსის პორფირი უსპენსკის თხზულებით და კიდევ წიგნით: «Краткія свѣдѣнія объ Иверскомъ монастырѣ на Аѳонѣ».

«ათონის მთაზე ბერულის მოღვაწეობისათვის, —სწერს უსპენსკი, —პირველად მივიდენ ქართველნი 787 წლის მახლობელს დროსა. ამ დროს საბერძნეთში მეფობდენ ძონსტანტინე და ირინე. წმინდა მთაზე მოსულთ ქართველთ აუშენებიათ პირველად ერთი პატარა მონასტერი იოანე წინამორბედის სახელზე, მთის მაღალს მწვერვალზე, რომელსაც ჰრქმევია სახელად «ათო». მს პატარა მონასტერი შექმნილა დასაწყისად სხვა უდიდეს ქართველთ მონასტრებისა, რომელთა დაარსებაც გამოუწყევია შემდეგს მიზეზს: «829 წელს წმინდა მთის იმ მწვერვალზე, რომელსაც ეწოდებოდა «ათო», მოღვაწეობდა თურმე გამოქვაბულში, ზღვის პირად, ერთი ქართველი ბერი, სახელად შაბრიელი. თეოფილე იმპერატორმა ხატებს ბრძოლა რომ დაუწყო, ამ ბერთან მოვიდა ერთი ახალ-გაზდა ქართველი და ბერადვე შედგა. ის იყო ერთი ქარ-

ჩვენ აქ აღწერთ მოკლედ მხოლოდ ისტორიას მონასტრების აშე-

ცვეს არტელშიკი, რომელსაც მოსამსახურეთათვის დასარიგებელი ფული მიჰქონდა. ამ საქმის თაობაზედ სასტიკი გამოძიება თურმე დანიშნული და ათამდე პირია დაქერილი.


ბუშინ ჯანჯულაზოების საქმის თაობაზედ შეცდომა მოგვივიდა. ჩვენა ვთქვით, რომ პალატამ გაამართლა ისანიო. როგორც «ახალი მიმობნილია» იტყობინება, პალატამ კი არ გაამართლა, შესაძლებელად დაინახა დატუსალებიდამ განეთავისუფლებინა და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მიეცა.

«დაეკაზმა» და «ახალი მიმობნილია» გუშინ კიდევ ორი წერილი მოგვიტანეს, რომელნიც «დროების» წინააღმდეგ არიან მომართულნი: ერთი თ. ნ. ჩოლაყაშვილისა, მეორე ბ. რიზევსკისა. ბ. რიზევსკი ცდილობს თავი გაიმართლოს და გამტყუნოს ის წერილი, რომელიც ჩვენის გაზეთის 73 №-ში იყო დაბეჭდილი და შეეხებოდა მის მოურავებისაგან მუშების შევიწროებას. მს ცნობა ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი, როგორც წერილი რედაქტორთან და დღეიდანვე შეუღლებით ნამდვილი

თველი ქერივი დედა-კაცის შვილი, რომელიც ხატთა დენის დროს ქალაქს ნიკიაში სცხოვრებდა. შვილი და დედა ხატთა პატივის-მცემელნი იყვნენ. ამათ სახლში ჰქონდათ ლეთის-მშობლის ხატი საქართველოდგან წაღებული. ორნივე დიდის სასოებით თაყვანსა სცემდენ ამ ხატს და გამუღმებით დღე და ღამე წინაშე მისსა ევედრებოდენ ღმერთსა. ხატთა მღვეწელების შიშით ქერივი დედა-კაცი იძულებული შეიქნა ხატი ზღვაში ჩაეგდო. ამის შემდეგ, დედა და შვილი ერთმანერთს გაეყარნენ. უკანასკნელი ათონის მთაზე გაუხდა მოწაფედ იმ შაბრიელს, რომელიც შემოდ ვახსენეთ, და უამბო დედისაგან ლეთის-მშობლის ხატის ზღვაში ჩაგდება.

830 წელს, აღდგომის მესამე დღეს, სამშაბათს, ეს ხატი ლეთის-მშობლისა დაინახეს ქართველმა ბერებმა ზღვაში და შეატყობინეს თავიანთ მონასტრის წინამძღვარს პავლეს. ამ უკანასკნელმა უბძანა ხსენებულს შაბრიელს ამოეღო იგი წყლიდგან. ნახა თუ არა ნიკიას ქერივის შვილმა ხატი, მაშინვე იცნა. იმისი უმანკო სიტყვა ყველა ქართველმა ბერებმა დაიჯერეს და დიდის სასოებით გარს შემოეხევიენ ხატს. ამ დროიდგან დარჩა მათ შორის თქმულება, რომ ლეთის-მშობელი თვით გამოეცხადა ქართველ ბერს შაბრიელს და უბძანა: «მიიღე ეს ხა-

თველი ქერივი დედა-კაცის შვილი, რომელიც ხატთა დენის დროს ქალაქს ნიკიაში სცხოვრებდა. შვილი და დედა ხატთა პატივის-მცემელნი იყვნენ. ამათ სახლში ჰქონდათ ლეთის-მშობლის ხატი საქართველოდგან წაღებული. ორნივე დიდის სასოებით თაყვანსა სცემდენ ამ ხატს და გამუღმებით დღე და ღამე წინაშე მისსა ევედრებოდენ ღმერთსა. ხატთა მღვეწელების შიშით ქერივი დედა-კაცი იძულებული შეიქნა ხატი ზღვაში ჩაეგდო. ამის შემდეგ, დედა და შვილი ერთმანერთს გაეყარნენ. უკანასკნელი ათონის მთაზე გაუხდა მოწაფედ იმ შაბრიელს, რომელიც შემოდ ვახსენეთ, და უამბო დედისაგან ლეთის-მშობლის ხატის ზღვაში ჩაგდება.



მუთისილამ გვწერენ: «ამ თვის პირველს ბ. ნ. აღიანმა წაიკითხა ხარაზოვის თეატრში ლექცია. ლექციის საგანი იყო: «თუ რა განთავსება აქვს ქართველ მოდემს და რა ისტორიული ხატება». ლექტორი ჰკითხულობდა გასაგონი. ერთ და, თუმცა ხანდახან ხმარობდა გაუგებარ სიტყვას, მაგრამ იქვე აძლევდა განმარტებას. ლექციამ კარგი შთაბეჭდილება იქონია და დაგვარწმუნა, რომ ლექტორს თამამად შეუძლიან ამ ასპარეზზე მოღვაწეობა.»

ზოგიერთი მსმენელი უკმაყოფილო დარჩნენ ლექციის შინაარსისა. მითონ ლექტორმა სთქვა—ამ საგანზე შემდეგისათვის უფრო ვრცლად მოვილაპარაკებო; ამ ლექტორის სიტყვების შემდეგ უკმაყოფილება უაღვილო არის, რადგან ეს ლექცია უნდა მივიღოთ შესავალად შემდეგი ლექციებისა.»

ზორილამა გვწერენ: «დღეს ერთი ფრიად შესაძრწუნებელი საქმე მოხდა ზორში, მტკერის პირას, ახალ-რკინის ხიდთან. ამ ხიდთან იდგა პაროზი, რომლის თოკიც მოშვებული იყო და, რადგანაც ხის ხიდი ტყვარმა მოიტაცა, ამიტომ პაროზის თოკსა სწევდნ; რკინის ხიდზე რომ ბევრების მუშები მუშაობენ, იმათ აწვიებდნ. ზაწვიის დროს თოკი გაწყდა და ხუთი კაცი გააფუჭა. ეს აუღმყოფი კაცები ხიდის ბოლოს ეყარნენ და მერე ბუტკაში შეიყვანეს; მაგრამ ბუტკაში ისე ციოდა, როგორც კარში, და ხალხი ამბობდა, უსათუოდ ამ სიცივეში დი-

ხვცებიანო. არც კალაქის თაგი და არც ერთი გამგეობის წევრი არ მოვიდა, რომ რაიმე შემწეობა მიეცათ ამ უბედურებისათვის რომელთაც თითქმის მარტო ზორის საქმისათვის გაიფუჭეს თავი.»

ს. ბუბილამ გვწერენ: «ამას წინაღ მოხსენებული იყო «დროებაში» (№ 39), რომ ერთი პირი სამოცამდე მეზობლებმა მეზობლობიდან გარიცხესო. 24 რიცხვს ამა თვისას საზოგადოებისაგან არჩეულმა და დფიცებულმა 30 კაცმა მანვე დასოფლის შემაწუხებელ პირთა შორის ისიც მოიხსენეს და დაუდგეს სასჯელად ორის წლით უდაბნოში გაგზავნა. ძარგი იქნება, მიაქციონ ყურადღება, შეასრულონ სოფლის განაჩენი იმ პირზედ, რომელსაც მთელი 700 კომლიანი საზოგადოება მოთმინებიდან გამოუყვანია. მანა რიგია, რომ ის ამის შემდეგ კიდევ ირიცხებოდეს თავის თანამდებობაში?!

«ნოვოე მრემია»-ში ვკითხულობთ კორესპონდენციას, რომელიც გაგზავნილია ქ. მდესილამ. საქმე შეეხება მუთისის მცხოვრებელს, ალექსი შალამბერიძეს, რომელიც 22 მარტს განიხილა მდესის ოლქის სამსჯავროში. შალამბერიძის დანაშაულობას შეადგენს ყალბი ფულის გაკეთების წადილი. წარსული წლის აგვისტოში შალამბერიძე შესულიყო მან ბერეს სახელოსნოში. ბერეს-თვის მიეტანა სურათი ისეთი მაშინის გასაკეთებლად, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ყალბი აბაზიანების მომზადება. ბერემ, რაკი შეიტყო

შალამბერიძის წადილი, მაშინვე გამოუცხადა პოლიციას. პოლიციამ არ დაუშალა ბერეს ამ მაშინის მომზადება. ბოლოს, 7 სექტემბერს, შალამბერიძე მივიდა მაშინის წასადებად. ამ დროს სახელოსნოში ისხდნენ შტატკურად ჩაცმულნი პოლიციელი ბასლავსკი და მჭრელი ბოლდშტეინი. შალამბერიძე ჯერ შეკრთა, მაგრამ, როდესაც ბერემ უთხრა, რომ ეს პირნი ძალიან საიმედონი არიანო, მაშინ შალამბერიძემ უამბო თავისი განზრახვა და სთხოვა მათ საქრთველოში წამოსვლა—«იქ ძალიან გაემდიდრდებითო». ბასლავსკიმ და ბოლდშტეინმა განაცხადეს, რომ ეს ძალიან საშიშო იქნებაო, მაშინა რომ გვენახონ, დაეძლუვებითო. შალამბერიძემ ამაზე ანუგეშა—ნუ გეშინიანთ, უთხრათ, რომ მაშინა ზაპინკების გასაკეთებლად გვენდაო. ბეხელი სტაკეს შალამბერიძესა და მისცეს სასამართლოში, სადაც მოწმებმა გაიმეორეს თავიანთი ჩვენება ისე, როგორც ზევითა ვთქვით. შალამ ბერიძემ ეს საქმე გადაბრალა ქუთაისელ ტენნიკს ტაიგელს, ვითომც ამასა სდომნებოდეს ის მაშინა. მაგრამ სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში ეს გადაბრალება, რადგან ტაიგელმა უარი განაცხადა ამ დაბრალებაზე.

სასამართლომ იცნო შალამბერიძე დამნაშავედ და გარდაუწყვიტა ყოველი ღირსების ახდა და 5 წლით ძატორლაში გაგზავნა.

«რუსკი ძურიერს» მბილისი-დამ ტელეგრაფით აცნობებენ, რომ

ტი ჩემი და დასვენე ქართველთ მონასტრის კარებზეო და ვიქნები შემწე და მფარველი ქართველთ ნათესავისაო.»

ამ გვარმა თქმულებამ მალე შეპყარა ათონის მთაზე დიდი-ძალი ქართველობა. ეს ხატი შეიქმნა მიხეზი ათონის მთაზე ქართველთაგან მრავალი ეკლესიებისა და მონასტრების აშენებისა.

ამავე 830 წელს, თეესა ოქტომბერსა, მოუხდათ ჩხუბი არაბებსა და ბერძნებს ათონის მთისა და კუნძულის შოსოს შუა და პირველთ მთლად გასწყვიტეს ზღვაში უკანასკნელნი. ამის შემდეგ, იმათ აიკლეს ათონის მონასტრებიცა, როგორც ქართველებისა, აგრეთვე ბერძნებისა. ამ მიზეზმა გამოიყვანა ათონის მთიდგან ბერძნის ბერებიცა და ქართველნიც. უკანასკნელნი მოვიდნ მონსტანტინეპოლს და თან მოიტანეს ხსენებული ღვთის-მშობლის ხატიც. იმათგან ნახევარი დასახლდა მონსტანტინეპოლს იოანე წინამორბედის მონასტრში, ნახევარი ტრაპიზონს—წმიდა შოკას მონასტრში. მორივე ეს მონასტერი აშენებულია იმავე დროს, როცა ათონის მთაზე აშენეს მონასტერი ივანე ნათლის-მცემლისა. ამ მიზეზებისა გამო, როგორც ბერძნები, აგრეთვე ქართველნიც ათონის გარეთ დარჩნენ 40 წლის განმავლობაში.

870 წლიდგან დაწყებული 880 წლამდე იქ დაბრუნდნ იმპერატორის მასილი მაკედონელის ბრძანებით, როგორც ბერძნის ბერები, აგრეთვე ქართველნიცა. უკანასკნელნი დასახლდნ ისევ თავიანთ მონასტრშივე, რომელსაც ერქვა ათო და ხატიც აქ დაასვენეს.

979 წელს ათონის მთაზე მოვიდა ივანე ივერიელი, მაგრამ, ქართველთ მონასტრში სიფიროსისა გამო, ის დასახლდა ბერძნების მონასტრში, საცა წინამძღვრად იყო წმიდა ათანასე. ამ უკანასკნელ ბერს მამა ბერძენი ჰყვანდა, დედა ქართველი, იცოდა დედის ენა და უყვარდა ქართველები. ისა და იოანე ივერიელი დიდი მეგობრები შეიქმნნ. მასთანვე სცხოვრებდა ბერი თორნიკეცა. ამათ ორივეს გვარი იყო მარაზგანე. ღვით კურატპალატის დროს ისინი ჯართა წინამძღოლნი იყვნენ, როგორც მრისთაენი.

რადგან ბერძნის ბერები ქართველებს ცუდის თვლით უცქეროდნ, ამისათვის იოანე ივერიელმა ააშენა თავისთვის ცალკე მონასტერი, ერთის ვერსის მოშორებით ათანასე წინამძღვრის მონასტრიდგან, და იქ გადასახლდა თავის ქართველებით. მაგრამ ქართველი ბერები ბევრნი იყვნენ და არ ეტეოდნ ამ მონასტრშია. დასჭირდათ მონასტრის

აშენება და სენაკების გამრავლება, მაგრამ შეძლება არა ჰქონდათ. შეტყობინეს საქართველოში მეფესა და ხალხს თავიანთი გაჭირება და განზრახვა ახალი მონასტრის აშენებისა; ამასთანავე სთხოვეს შემწეობა. სამშობლო ქვეყანამ ბერთა თხოვნა სიხარულით მიიღო და გაუგზავნა დიდი-ძალი ფული ხსენებული ხატის სახელზე დიდი ლაფრის ასაშენებლად.

მაგრამ ივერიის ლაფრის გეგმი ისე დიდი იყო, რომ მის აშენებას არ ეყოფოდა ის შეძლება, რაც ბერებს ხელიში ჰქონდათ. მათ სასიხარულოდ, ამ დროს მცირე აზიაში აეშალა იმპერატორს მასილს ბარდა სკლირი. ამას ეწადა იმპერატორის ტახტი დაეჭირა. დაამარცხა კიდევ რამდენჯერმე იმპერატორის ჯარები და მიუახლოვდა მონსტანტინეპოლს. შემინდნ თევდორა დედოფალი და მასილი იმპერატორი. ბარდა სკლირი უფრო-და-უფრო გაძლიერდა; ერთს ომში იმან მოჰკლა იმპერატორის გამოჩენილი ჯარების უფროსიც. შეელა არსაიდგან-ლა იყო. ტახტი იღუპებოდა.

ამ გარემოებებში ჩაეარდნ იმეოდორა დედოფალმა და მასილი იმპერატორმა სთხოვეს შემწეობა საქართველოს სახელოვანს მეფეს ღვით ძურატპალატს. დასწერეს წერილები და გამოატანეს თორნიკე ბერს. თორნიკემ მიართვა წერილები ღვით ძუ-

პრიკაზის ქალაქდგის, ვასინჯვამ კლ-მოაჩინა 9,000 მანათის დაწყოლასი პრიკაზის კასაში.

«**დროების**» კორესპონდენცია.

სურამ-ხაზური. მერაფერი წელიწადი დაუდგათ წელს პროვინციის ვაჭრებსაც: მაშინ, როდესაც ქალაქის ვაჭრებს ეომება პოლიცია და სჩხრეკს უბაჟოდ შემოტანილ საქონელს, ამ დროს ჩენი პროვინციის კაციც შეძლებისა-და-გვარად ებრძვის პროვინციისვე ვაჭრებს და ცდილობს აიმართოს თავისი დაუძლურებული წელი, გაახილოს ათასჯერ მოტყუებული თვალები და ისე შეჰხედოს თავის მდგომარეობას. პირველი ნაბიჯი საბრძოლველად ერთ შემოქართლის წარჩინებულ საზოგადოებას (ზემო-ჭალისას) შეხვდა და ამ ბრძოლაში ნამდვილი ეკონომიური ხასიათი და მიმართულობა მიიღო. ამ საზოგადოების პირველი ყურადღება სასწორმა და აღღმა მიიპყრო. თუმცა კი ამ უკანასკნელმა ისევ თავისი გიტანა, მაგრამ პირველი საგნის უსწორ-მასწორობას კი ბოლო თუ არ მოელო, სიკეთისკენ მიანიცა ქნა პირი. ძლიერ, რის ვაი-ვაგლახით, ხაშუ-რის სასწორი საზოგადოებას გადაეცა ადგილობრივი სკოლის სასარგებლოდ. რის «ვაი-ვაგლახით» მეთქი—მოვახსენებთ, იმისთვის კი არა, რომ ეს საქმე რაიმე სიძნელეს წარმოგვიდგენდა,—სრულიადაც არა: ვაი-ვაგლახს» სუყველა კეთილ დაწესებულებას «სოფლის-ჭამიები» დამართვენ ხოლმე, სუყველა საზოგადო საქმეს;

რატპალატს, რომელმაც მისცა მას 12000 მეომარი კაცი. ამ ჯარით თორნიკე ბერმა დაამარცხა იმპერატორის მტერი ბარდა სკლირი და დიდი დავლა იმოგვა. მამარჯვებული რომ დაბრუნდა მონსტანტინეპოლს, იმპერატორმა მასვე აჩუქა ეს საშოვარი და თავის მხრითაც დიდად დააჯილდოვა.

ეს სიმდიდრე თორნიკემ მოიტანა ათონის მთაზე და მისცა წინამძღვარს იოანე ივერიელს. უკანასკნელმა იყიდა ამ ფულით ათონის მთაზე მამულები და ადგილი ახალი ლაფრის ასაშენებლად. 980 წელს იმან დაიწყო მისი აშენება ზღვის პირად ხსენებული ხატის სახელზე. ხუთი წლის შემდეგ შენობა უკვე მზად იყო, აკლდა მხოლოდ გუმბათი. აი ამ ლაფრასა ჰქვიან ახლა ივერიის მონასტერი. მას გარს შემოაედეს ქეთკირის კედელიცა და გაუკეთეს დიდი ალაყაფის კარები, რომელზედაც მორთეს ერთი პატარა ეკლესია, მაღალს კოშკში, და იქ დაასვენეს ივერიის ღვთის-მშობლის ხატი, როგორც მცვეელი და მფარველი ლაფრისა. ამ დროიდგან ეს ხატი იწოდება «კარის-ბქის» ხატად, ანუ ივერიის ღვთის-მშობლად.

(შემდეგი იქნება)



როგორც ყოველთვის მოსალოდნე-
ლია, ეს ვაჭარები პიროვნულ
ინტერესებს ანაცულებენ ხოლმე.
დაიწყა სასწორის საქმე, საქმე-საქმეზე
მოდროდა, მაგრამ—დახე იღბალს,—
გამოტყვერენ კუდა-ადეკატები, რომ-
ლითაც სავსეა პროვინცია, დაიწყეს
მოხელეებთან მისელა-მოსელა, მო-
ლაპარაკება, დაიწყა შეტყულობა-
ნი და ეს უბრალო საქმე ისე გაუძ-
ნელეს ჩვენ საზოგადოებას, რომ იგი
იძულებული იყო ან საქმისთვის თა-
ვი დაენებებინა და ან ათათ თუმნო-
ბით ადევკატებისთვის ეძლია საქმის
მოსაგვარებლად. მსეთივე საქმე და-
მართა ერთმა მაწანწალა, გაქნილმა
ადეკატმა ჩვენებურებს: გუბერნატო-
რი რომ მოვიდა «ნადელების» შეს-
ყიდვის თაობაზე, ზემო-ჭალის საზო-
გადოების თხოვნა, სხვათა შორის,
იმაშიაც გამოიხატებოდა, რომ ხაშუ-
რელ მოსულ ვაჭარებსაც რაიმე მო-
ნაწილეობა მიეღოთ სოფლის გადასა-
ხადში: მაგ. მწერლის, იასაულების
და მამასახლისის ჯამაგირს მისდგო-
მოდნენ ვაჭარებიც. ამ თხოვნას ის
საფუძველი ჰქონდა, რომ ეს უკა-
ნასკენლნი სულ ვაჭარებს უნდებოდა.
ჩხუბის თავები თუ ქურდების წარმო-
მადგენელები დუქნებში ბუღბუღო
და ამისთვისაც პოლიციით ესენი უფ-
რო სარგებლობენ, მინამ ჩვენაო.
გუბერნატორს კუდაში დაუჯდა ეს
კანონიერი თხოვნა საზოგადოებისა
და უბნა: «ებლავე გადახდევინეთ
ფულეობა». გუბერნატორი წაბ-
ძანდა და საზოგადოებამ მოხელე-
ებს განუთხორა გუბერნატორის დას-
ტური; მაგრამ მამასახლისმა ამ
სიტყვებით გაისტუმრა კაცები: «პრის-
ტაფი ფულეობის აკრფის ნებას არ
მადიდებს». დაიწყო ბრძოლა. ვაჭ-
რებიც ძრიელ ვათამამდნენ «საქ-
მე ჩვენკენ არისო». ამ საქმეში ჩაე-
რია ზემოხსენებული, ადევკატი (დიდი
ვისმეს «მეგობარი» ვახლავთ, უბრა-
ლო ადევკატი კი არ გვეგონოთ)! მა-
ლალდი დამაწვრინეთ და მაშინვე მო-
გაგებინებთ საქმესაო, უთხრა ჩვენ-
ბურ გლეხებს. საწყალი ხალხი მიენ-
დო ამას, ვახდა შეტყულობის მსხვერპ-
ლი და ესაც, რაც შეუძლიან, ზეპავს
ბანს. ამავე ვაჭარებმა ისარგებლა
საყაბოს საქმით, აკრიფა ბლომად
ფულეობი და საზოგადოებას დაპირდა:
ამ ცოტა ხანში გაგირიკებთ საქმესაო,
მაგრამ, ვინ იცის, «ცოტა ხანი», რო-
დის ვათედება...

მაშინ, როდესაც ზემო-ჭალის
საზოგადოება წოწილობით წინ
სდგამს ფხს და ნელ-ნელა ფონ-
ში ვადის, თუმცა კი დიდი დაბრ-
კოლებებით, დაბა სურამიც მითოვ
და რალა ბრძოლის ველს წარმოად-
გენს. სურამლები თავის «აკოფას»,
რომელსაც მამასახლისობა იჯარით
აქვს აღებული, ფულის შექმას აბრა-
ლებდენ. საჩივრები დაიწყო. მამო-
საძიებლად შორის მარხის უფროსი
მოვიდა. — დაიწყო გამოძიება და მოუ-
ლოდნელად პარ-ნათლად გამოდიო-
და «აკოფა», ჩვენი «კიკინანები»
(ურბები) რომ არ შეჭსტაკებოდნენ.

ამათ მოიგდეს მამასახლისი ქსელში
და ანგარიშის შემდეგ რომოცამდე
თუმანი კი წამოაქცილიტეს. სუყველას
გვეგონა, გამოძიება იაკოფას ფრთებს
მოჰკვეცსო, მაგრამ—დ.ხე ბედს—სა-
ზოგადოებას საქმე საბოლოოდ გაუხ-
და—ოლონც გვაპატივე შეცდომილე
ბა ჩვენიო და ის რომოციოდ თუმა-
ნიც შენი ჭირის სანაცულო იყვესო
და ერთი ოქროს ძეწვიის ყიღვა ჩვენ
კისერზეო.

ამ გამოძიების შედეგი სუყველა
დამკვირვებელზე ცუდ შთაბეჭდილე-
ბას მოახდენდა, რომ ბ. მარხის უფ-
როს იმისთანა სასიქადულო საქ-
მისთვის, როგორც არის სკოლების
გაერცელება, არ მიექცია ყურადღე-
ბა. დიდის გულის დაჯერებით და
პირუთენელად მარხის უფროსმა სთხო-
ვა სურამელებს—სკოლა გახსენითო.
ამაზე სუყველამ უარი გამოაცხადა,
—სუყველა უკან დადგა ერთი ეინ-
მე რომ არ გამოჩენილიყო. ამ «ეინ-
მემ» უეცრივ წამოიყვია: «სკოლა
თქვენ თუ არ გინდათ, მე მსურსო
და ჩემისთანებებც ბევრი არიანო. ამ
სიტყვებით წათამამებულმა სკოლის
მომხრებმაც შეპყვირეს: «გვიდაო»
და საქმე განაჩენის შედეგით დაბო-
ლოვდა. მანაჩენზე ხელის მოწერის
დროს ბარემ კიდევ ბევრი ყოყმანობ-
და, მაგრამ საქმე ვათამამული იყო.
სკოლის წარმოებისათვის მატერიალუ-
რი მხრით ზემო-ჭალის საზოგადოების
შეხვედით აქაც ბევრი წყარო ამოა-
ჩინეს: სასწორის იჯარით გაცემა, სა-
ყაბოს საქმის დაბოლოება და საზო-
გადო სკოლის გადასახადი. ძლიერ
ძლიერ, ამოდენა სოფელს ეღირსა სა-
სოფლო სკოლა! თუმცა კი სურამს
შეეძლო პროგენაზიასაც გასძლიმო-
და წინ, მაგრამ ამას შეეგება არ
უნდა? სწორედ სურამის «ინტელი-
გენციას» სკოლებისთვის სკალიან!
დიდი ხანია, ამათ ბახუსის პატივსაცემ-
ლად უნივერსიტეტის აქეთ გამართული
და სხვა რალა უნდათ.

შველა კარგი, მაგრამ ეს რალა
მოდა არის, რომ ზოგიერთა ვა-
დამთიელებს ჩოხიანები ასე თვალში,
ეჩირებოთ? ამას წინათ ერთი რიგიანი
თვადიშვილი შევიდა სურამის სამს-
ჯაეროში რალაც საქმის გასაგებად;
მოსამართლემ პასუხის მიცემის მაგი-
ვრად, დაუწყო ამ ყმაწვილს გინება
შიგ კამერაში ხალხის თანადასწო-
ბით: შენ «რაზბონიკი» ხარო, შენი
შიშით კაცს გზაზე ვერ გაუვლიაო,
მოსამართლეებს ემტერებო (აბა ამა-
ზედ დასწვია გული აი ჩვენ მოსამართ-
ლეს!), შენ ნება არა გაქვს ხანჯალი
ატარაო და სხ...
**

ბორი, 2 პრიოს. დღეს დიდის
ათ საათზედ მტკვარმა ხის ხიდა წაიღო.
გვლავ, როცა ამ გვარი შემთხვევა მოხ-
დებოდა ხოლმე, ხალხის სახესუდ თითქო
წაღაც მწუნარება ისტებოდა; მაგრამ
ესლა კი ხის ხიდას წაღებას არად აგ-
დებენ, რადგანაც რკინის ხიდა დასრულ-
და და მეორე პირი (ფიცარინც
დაკვო; თუმცა მოაჯირები რკინისა არ

მოსვლიათ ჯერა, მაგრამ ხისას კი ამ-
სადებენ და ამ ორ დღეში მსად იქნება.
მხოლოდ მხელი და სამწუნარო ეს არის,
რომ ქალაქის გამგეობა სსჩარად ამზა-
დეს აქვე ხიდას მასლობლად ზარმის
სამუშაოდ. სსჭოს გადაწყვეტია მარ-
თებლობასთან იშუამდგომელს ქალაქის
თაგმა, რომ ნება მისცენ, ფესით ხაღ-
სმა ახალ ხიდასად ორონ უფასოდ, ვა-
დრე განიხივად იჯარადარი ხიდას ჩა-
ბარებას მმართველობას; აგრეთვე ზარო-
მმა იმუშავოს და ქალაქმა ფული ხიდას
იჯარადარისგან. ეს ძალიან კარგი, — ქა-
ლაქი ცდილობს აღმოუჩინოს სარგებლო-
ბა თვით-მმართველობას, მაგრამ მხელია,
რომ ამ ადგილს ზარმის მუშაობა
წრუელს უხიფათოთ მოაჩნეს. შარშან,
მართლდა, აქ ზარმი მუშაობდა, მაგრამ
წრუელს უფრო სსშიშა, რადგან შარ-
შან წყალი მდარედ მოდიოდა და ზა-
რმის თვს შიში არა ჰქონდა, და
წრუელ კი აქ წყალი ვიწრო და ადელ-
კებული მოდის, რადგანაც მოკლე ხიდას
თავსა და ბოლოს კვდის ბურჯები ამო-
უტანეს და თუ ზარულე გატანის
დროს არა, მეორე გატანასუდ უკველად
გაფუტებს. უფრო იტომამ არის სსში-
ში, რომ თოკი ძველი და გადამხულია.
ზარმის გამართვას, ჩემის აზრით, ისა
სჯობდა, გარის თვით-სამმართველომ სსჩ
ქარად სთხოვოს მმართველობას—ესლა-
ვე როგორც ფესის საბრუნის ნება მისცენ
ხაღსს, ისე ურმისა, ცხენისა და სსჯა ზარო-
ტყვის ტარებისა. გუბერნიის არსიტექტუ-
რის ინჟინერი სსშიშად მოდის ხოლმე
აქ ამ ხიდას სსსხადა; კარგი იქნება, ეს-
ლაც მოვიდეს, გასინჯოს ამ წყლის მდგო-
მარება და, თუ მართლად მარგებელი იყოს
აქ ზარმის მუშაობა, აუკრძალოს.

მშთანისი, 3 მარტს. ამ ეამად ქუ-
თაისში დიდი ამბავია ხონის ეკ-
ლესიის ვაცარცვის თაობაზე. ვა-
ცხარებით იძვევენ ქურდებს და
ჯერ კიდევ ვერა შეუტყვიათ რა.
მოუპარავთ ერთი ვეცხლის სსცე-
ცხლური, ვეცხლის ბარძიმი, ოქ-
როში დაფერილი, ორივე ზე-
წარწერებით, ძვირფასი თვლები,
რომელთ შორის ერთი თურმე
შავი ბრილიანტი, ოთხას თუმნად
დაფასებული. სსცეცხლური და
ბარძიმი ისეთი სქეფის ვეცხლი-
საგან იყო ჩამოსხმული, რომ
ხელში დაჭერა უძძიდათ თითო-
ეულისა და ამისთვის იყვენ თურმე
ცადვე ყუთში შენახულნი. სსკურ-
თხვედში იყო რამდენიმე ყუთი
დაკეტილი — ზოგში რა ეწყო და
ზოგში რა. შესანიშნავი ის არის,
რომ დაკეტილ ყუთებს შორის
ქურდებს ამოურჩევიათ ის ერთი
ყუთი, რომელშიაც ნივთები და
ვეცხლეულობა იყო ჩაწყობილი
და მხოლოდ ის გაუტყენიათ, — სსვე-
ბისათვის ხელი არ უხდით. ცხა-
დაა, რომ ნივთების მოპარვამი
უნდა ერთოს იმისთანა პირი, რომ
მელსაც დაახლოვებით უნდა სცო-
დნოდა ამ ნივთების გარემოება.
მეორე შესანიშნავი აქ ის არის,
რომ ერთი მ—ლი თურმე ერთი

კვირის წინადვე ქალაქობდა, სსუ-
დარს უარაუდი დახვეწეთ, თორემ
გაიქურდებოა.
ამ ამბავმა შესძრა მთელი ხო-
ნის საზოგადოება, გადასწვიტეს
განაჩენის შედეგა, რომ სსჭვო
და ქურდი კაცები განაჩენის ძა-
ლით გადასახლდეს. ბევრს შეუ-
დგინეს განაჩენი, მაგრამ იმათში
უველაზე შესანიშნავია ორი კაცის
დასჯა, რომელშიც თუმცა ქურ-
დები არ არიან, მაგრამ იმათმა
ვაზაუკურმა მოქმედებამ საზოგა-
დოების წინააღმდეგ ისე აადეღვა
ადგილობრივი მცხოვრებლები,
რომ ერთს ვადუწვიტეს სამის
წლით რუსეთში გადასახლება და
მეორეს ბათუმში გამგზავრება: პი-
რველი იმათგანი უკვე ცნობილი
ჩ—შვილი და მეორე ქ—შვილია.

სსმა-და-სსმა ამბავი.

— კაცი-ჭამია ხე. დარწმინა მთე-
ლი თსწულებს დასწერა იმაზედ, რომ
ზოგიერთა მცენარეხი ხორცის მქამელ-
ნი არიან. აი რას იწერება ერთს ამგვარს
მცენარეზე ერთი მადგასკარში ნამყოფი
მოგზაური: «ამ ხეს ნივთებისა ვე-
ლური მცხოვრებლები აღმკრთებენ. ის
არის ანასის ტოლა მცენარე; წვერში
აბა რვა მსხვილი ფოთოლი, რომლებიც
ძირს არიან დაშვებულნი. ამ ხის წვერ
გრკვლი, თუთრა და ცოტად შიგნით
შედრკვლია, ასე რომ ცოტათი ჩამო-
გავს თუფუს, შედგომეს მეორე თუფში.
ეს არ არის ყვავილი, მაგრამ დგი იმ-
ურობს მჭვირვალე და წვობიანს წვენს,
ტუბილს, როგორც თაფლი, და დამთრო-
ბულს. ამ ხეს წვერზე ნამარბზე ასხაა
ბაღიანი შტოები, რომელთა ბოლოებიც
მიემსგავსება რკინის მწვეტ მათელებს.
ამ დროს, როდესაც ჩვენ ვსინჯავდით
ამ გასაოცარს მცენარეს, ჩვენთან მო-
ვიდენ იქაური მცხოვრებნი, რომელნიც
სამაგლად ყვიროდენ. იწყეს გალობა შე-
მავედრებულ სსგალობელთა და წმინდა
ხის გარემოში მშინარე გვაგა. შეიდაც
გარს შემოკვებენ ერთს დედა-კაცს,
დაუწვეს შუბებით ჩსკვლტა და ამ გვა-
რად იძულებულ-ჰყვეს ხის წვერზედ ასუ-
ლეყო და შტოებ შუა დამჯდარიყო.
მის სახესე სსსა-წარკვეთილება იყო
გამოსატული. კაცებო უფროდენ მას:
«ტისკ, ტისკ (დალეი, დალეი)» ბო-
ლოს, როგორც იყო, გაბდა და დაღია
წვობიანი წვენს. მერე წამოღვა ფესზედ
ველური აღტაცებით და დაიწყო მთელი
სსსულის განკალი, მაგრამ ძირს კი არ
გადმოვარდა, რასაც, როგორც ეტყო-
ბოდა, წინად ამბობდა. დაიქნენ, მა-
ლა გამოკვია. საშინელმა ხემ, რომე-
ლიც აქამდის მკვდარებით იყო და მო-
ძრობა არ ეტყობოდა, ესლა თითქო
გაიღვიძა. იმისი ნაზი და წვრილი შტო-
ბი, გაცოფებულნი, როგორც გველი,
ემკუნენ დედა-კაცს, შემოკვებენ და
მაგრად მოკვებენ კისერზე და სელებ-
ზე. შეიდაც, როდესაც დედა-კაცის ვვი-
რილი და ხარხარა უფრო-და-უფრო
ველურნი და საშინელნი შეიქმნენ, შტო-
ბმა ზედი-ზედ წამოიწივეს ძაღლა, რა-

გორც მწკნე გველებმა და ისეთის სი- სწრაფით შემოკრტუნენ უბედურს მთელად სხეულზედ, როგორც სასწრაფოთაც მტარებულნი ნადირნი ემკერებიან ხალხე თაჟიანთ მსხურობლს. დიდმა ფოთლებ- მაც მიძიმედ და ნელ-ნელა წამოაწივებს მალლა, მიუხსლოვან ერთმანეთს, შე- მოკვებიან საცოდავს დედა-კაცს გარშე- მთ, მოკვებიან მთელს სხეულზე და გა- ჭყლიტეს. ერთი წამი გავიდა და მე და- ვინასუ ხიდგან ჩამომდინარა წულობანი წვენი დედა-კაცის სისხლში არეული. როდესაც კვლურმა მცხოვრებლებმა დაი- ნახეს ეს, მისცვივდნენ სეს საშინელის უფროდით, აცვივდნენ და ჭამებოთ, სე- ლებით და თითქმის ერთობა გაშმაგებოთ დაწივებს სმა სისხლ-ნარკუ წვეს. ამის შემდეგ დაწივებს ისეთი საზომადარი ცე- კვა და ღსინი, რომლის აღწერაც შეუ- ძლებულია. ამ გვარად დიდხანს ღსინ- ბდენ ივინი. ბოლოს სრულიად დაჭ- კარვებს გრძნობა და მეც ჩემმა თანა- მგზავრმა ტყეში შემოყვანა, რათა მო- გეშორებინე ამ საშინელი სახასკავის ყუ- რებას. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ამ გვა- რი სახასკავი, ვადეკ როდისმე უნახო!

ბის მეძიებლობა, რისთვისაც მას გადაუწყვიტეს თანამდებობის და ჯამაგირის ჩამორთმევა, მაგრამ მთამომავლობითი დირსება კი ისევ დაუტოვეს. კანტონის ვიცე- კორადოს საჯაროდ აპყარეს დი- რსება. ჩინეთის ოპიცრებს, რომელნიც დამნაშავედ იცნეს ბაგნი- ნგის დაცემის საქმეში, თავებს დასჭრიან. საქმეთა მდგომარეობა პეკინში ძლიერ ცუდია; ბრძანე- ბაა, საზოგადო ჯარის მოკრება მოხდეს. იუნნალის პროვინციის გუბერნატორი პეკინში მიიხმეს სასტიკად დასასჯელად.

კაბორი. დღეს აქ გამბეტას ძეგლი დაუდგეს; მინისტრმა-პრე- ზიდენტმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელიმაც იღაპარაბა გამბეტას მოქმედებაზე და დვაწლზე. სამ- ხედრო მინისტრმა იღაპარაბა ჯარის სახელობით და, სხვათა შორის, სთქვა, რომ გამბეტა დარწმუნებული იყო, რომ საფ- რანგეთი მაშინ დიჭერს თავის შესაფერს ადგილს ქვეყანაში, თუ პატივით მოეპყრობა სხვა ხალ- ხების უფლებათა, მაგრამ ამასთანავე თუ უოველთვის მზათაც იქ- ნებიან ძრანცულები სისხლის და- სადვრეულად მამულისა და პატიო- სნების დასაცველად.

4 აპრილს. კაბორი. გუმინ მოვიდა პე- ტერბურგში ელინთა (ბერძენთა) დედოფალი. გატჩინოში დედო- ფალს მიეგებნენ ხელმწიფე იმპე- რატორი, ხელმწ. იმპერატრი- ცა და დიდი მთავრები.

გუმინ უეცრად გარდაიცვალა ლეიბ-ოკუელისტი კაბატი.

ჭინანსთა სამინისტროში წა- რადგინეს აზრი სხვა-და-სხვა ვაჭ- რობის გომიტეტებმა შესახებ ბა- ქის დადებისა უცხო ქვეყნურს ნან- შირზედ. ზოგი გომიტეტები იმ აზრისანი არიან, რომ ეს ბაქი 2 1/2-3 1/2 გაპეიგამდე იყოს; სხვე- ბი კი წინააღმდეგნი არიან უოველ გვარი ბაქის; ჭინანსთა სამინისტ- რო თავის აზრს სახელმწიფო- რჩევაში წარადგენს.

ბარლინი. ოპიცროზურ ჩრდი- ლო-გერმანიის გაზეთში დაბეჭ- დილია წერილი შესახებ რუსე- თის მომავალი სესხისა რეინის გზებისათვის. გაზეთი ამბობს, რომ რუსეთის ჭინანსიური საქ- მეების ხმების მზგავსად არაფერი არ ამტკიცებს იმ ძირითადს ცვლი- ლებს, რომელიც რუსეთის შო- ლიტიკას დაუტყოლო. რამდენიმე წლის წინად ამ გვარი ცნობა ადევლებას გამოიწვევდა; ესლა კი დიდის ნდობით მიიღებენ ხოლ- მე ამ გვარს ამბავს, როგორც იმის ნიშანს, რომ რუსეთის შინა- რი საქმეები განმტკიცდენო. ეს

ბარლინი. რესპუბლიკის პრე- ზიდენტის მოკვლა განიზრახეს; პრეზიდენტი სუმბუქად არის და- ჭრილი. შანხაი. პეკინიდან იუწყებ- იან, რომ პრინც კუნგს დაბრადდა დაქრთამვა, მმართველობის წი- ნააღმდეგობა და უზენაესი უფლე-

შთაბეჭდილება იმითი უფრო ძლი- ერდება, რომ ახალ სესხზედ ხე- ლის-მომწერთა შორის პირველი ადგილი საუკეთესო ბერლინის ჭირმას უჭირავსო.

„დროების“ უმოსა. ერთს ვინმეს. თ-ვენი მოხრობა, ზო- გერთა ნაკულუფანების გამო ვერ დავბეჭ- დო.

განსხალგანი

დაიპარბა პატარა ძალი, წაბლის ფერი, გული ჰქონდა თეთ- რი, შუბლზედ თეთრი ფრჩხილის ოდენა ნიშანი, ქვემო კბილები უჩნ- და. მინც. იპონის, სსხოვენ, რომ მო- იყვანოს ეს ძალი მე 9 უჩასტკაში, მიხაილოვის ქუჩაზე, სახლი თავ. პრ- ლუთინსკისა, პლექსანდრე პიდინო- ვის ტრაქტირში, რაისათვისაც მიიღებს ჯეროვანს საჩუქარს. (2-1)

ახლად გაღებული კახური ღვინის

სკლადში მოავალი დღესასწაულებისა- თვის მივიდე განეთიდგან კარგი საუკეთესო ღვინოები და ვყიდი. როგორც პარტიით, აგრეთვე წვი- რად ზოთლი ღვინო უბოთლოდ 20 კ.-დან 1 მანეთამდინ ვედრა 2 მან. 40 კაპ.-დან 15 მანეთამდინა. სკლადი იმყოფება ალექსანდ- როვის ბაღის ბოლოში მადათო- ვის ქუჩაზე ძმათა აბოვანცის სახ- ლებში. ზაქარ იასუბის-მე სიმონოვი. (2-1)

ნაჩსინათა სომხის სასულთ- ნო სემინარიის მზრუნველობის რჩე- ვაში 18 აპრილს, საღამოს 8 საათ- ზე ხელ-მეორედ იქნება ეპრობა (გა- ნუმეორებლად) სემინარიის კუთ- ნილთა მამულთა იჯარით გაცემაზედ: ა) სახლისა და დუქნისა, შეწირულ- თა განსვენებული ავეტიქა შირალო- ვის მიერ და მდებარეთა რუსების ბა- ზარში №№ 6 და 11, და ბ) 21 დუქნისა, რომელნიც არიან აშენე- ბულნი სასწავლებლის მოედანზე, მან- ქის სომხის სომოროსთ.ნ. მონლი- ციების ნახე შეიძლება მზრუნველო- ბის კანცელარიაში ყოველ-ღმე, გარდა კვირისა და სატაბელო ღლე- ებისა, 10-დამ 12 საათამდინ. (3-2)

კახური ღვინის პოღვალუი მოავალი პრაზნიკები- სათვის.


ახლად მივიღეთ მანეთიდგან დიდი პარტია საუკეთესო ღვინოებისა და ისყიდება რიგოროათაც პარტიით, აგრეთვე წერილად: ბოთლი 15 კ-დგან 1 მ-დინ, ვედრო 2 მან. 20 კ-დან 10 მ-დენ თავი. პოღვალი იმყოფება მელიამინოვის ქუჩაზედ ლეჩენიცის ქვეშ, წინამ- ძღვაროვის სახლში. (2-2)

მთელს ქვეყანაში ში. გამაგალი ნომ. 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს უფრადლება მიაქციეთ. (100-95)

გალმანინი (Гальманинъ)

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაქის წამლების მაღაზიაში ეკრობის ყველა დიდ ქალაქებში, მთავარი დეპო ამ წამ- ლისა არის ქ ა რ მ ა ც ი ა მ ა გ ი ს ტ- რ ი ს ვ. კარზინსკის აფთიაქში ქ. ვარ- შაჟაში, ელექტორადის ქუჩაზე, № 35. დიდი კარბაგა გაღმანინის კარმა- გაში 50 კაპ. დირს, პატარა—30 კაპ. უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გაღმანინი არ შემოგატყურონ. კ. კარზინსკი. (10-3)

ინგლისური ჩინის კრავობები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბაღასით გატენილი 5- დგან 8 მანეთამდინ. ვადეკ შემდეგი ნი- ვთები იყიდება 25% -თ უფრო იაფად, იდეკ სესკან სადმე: ბრეტანის მეტა- ლის ნივთები, ჩაიდნები, საგარაქე, სა- შქაქე, ჩაისა და სტოლის გოგუბი ჩანგ- ლებითა, ფანდოსი, დასადგმელი, პირის- საბანი, სტაქნები, სუფოგინკა, საწოლი, სუბი, რიუმეკები, გრაფინკები, საქაშური თეუშები, ზღუდები, სასალოკები, ტაშ- ტები, სარმეკები, სამაროკები, გარნი- ცის საფეკები, უჩაგირები კაცისა და ქაღისა, ადვირები, ხელსტები, ტანისა- მოსის დასაკიდებლები, საბალო მაგრატ- ლები, გაქსები, უთოები, წისკილები, ხერხები, ქაღები, გლიტები, ინგლისის თოფები და რეკლეკები, შიყები, ზა- რაბები, კაშსიულები, საფანგები, ნაი- ბები, გატერბოქები, სახნები, ჩულები, წინდები, სუფრები, სალქეტებისათვის რეკლეკები, კმაღიანი ჭურჭელი, მურა- ბები, კამფეტები, შიყულები, საფსები, ზღვის ბაღასი, დიმიკიტონები და სს. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს უფრადლება მიაქციეთ. (100-95)